შპს „ყაზბეგის 47“

25 ივნისი 2024 წ.

№ 02/06

მინდობილობა

შპს „ყაზბეგის 47“-ის *(ს/კ 204538599)* დირექტორი თამარ არაბიძე *(პ/ნ 35001005450) (შემდგომში წოდებული, როგორც „მიმნდობი“)*

გიორგი გიგაურს *(პ/ნ 01010005458) (შემდგომში „მინდობილი“)* ვანიჭებ უფლებამოსილებას, რათა მან იმოქმედოს მიმნდობის სახელით და განახორციელოს შემდეგი მოქმედებები:

1. მინდობილი უფლებამოსილია წარმოადგინოს მიმნდობი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიაში და მის დაქვემდებარებულ ყველა სამსახურში, სააგენტოში, საჯარო სამართლის იურიდიულ პირში (მათ შორის: სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური), წარადგინოს მათთან სადემონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციის პროექტი და ნებისმიერი სახის სხვა განცხადება მათ კომპეტენციას დაქვემდებარებულ ნებისმიერ საკითხზე შესაბამისი გადაწყვეტილების ან/და ნებართვის მიღების მიზნით.

2. მინდობილობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა განხორციელების მიზნით წარადგინოს ან/და ელექტრონულად ატვირთოს შესაბამის საიტზე ნებისმიერი სახის დოკუმენტი და უზრუნველყოს მათზე ხელმოწერა (მათ შორის ელექტრონული ფორმით), გადაიხადოს შესაბამისი მომსახურებისთვის დადგენილი საფასური/მოსაკრებელი.

არავინ შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს მინდობილის უფლებამოსილებანი იმის გამო, რომ წინამდებარე მინდობილობაში მინდობილის უფლებები ამომწურავად არ არის ჩამოთვლილი. მინდობილი უფლებამოსილია შეასრულოს სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც პირდაპირ არ არის მითითებული ამ მინდობილობაში, მაგრამ აუცილებელია მინდობილობით გათვალისწინებულ უფლებამოსილებათა სრულყოფილად განხორციელებისთვის.

მინდობილობა ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 1 (ერთი) წლის ვადით.

შპს „ყაზბეგის 47“-ის
დირექტორი
თამარ არაბიძე